

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 805

2016 წლის 1 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N376 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“ (შემდგომში - კომისია).

მუხლი 2. კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

ოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე

კომისიის წევრები:

გიორგი ჩალათაშვილი - (ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი) - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ნათია ივანაძე - (ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი) - კომისიის მდივანი;

ნინო ბატიაშვილი - (იურიდიული სამსახურის უფროსი);

ივანე ყაველაშვილი - (ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი);

შალვა ჯიბლაძე - (ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი);

ლელა კურტანიძე - (ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი);

დავით მათიაშვილი - (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).


მუხლი 3. კომისიის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მოწვეულ იქნენ კომისიის უფლებამოსილების სფეროსადმი მიკუთვნებულ საკითხებში კომპეტენტური, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მოქონე ექსპერტები/სპეციალისტები და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების, მათ შორის სააგენტოს წარმომადგენლები.

მუხლი 4. კომისიამ თავის უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N376 დადგენილებით.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის 2016 წლის 1 აგვისტოდან.

მუხლი 6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია